

რედაქცია

მედიკალი

ფელიქსადი მესაგაშვილი

რედაქციაში მასალა უნდა იყოს გაზეთის ფასი; ერთი თვით 20 მან.
დაწერილი გარკვეულად და ერთი თვით 50 მ. განცხადების ფასი:
გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა სტრიქონი. პეტრისა პირველ გვერ-
დზე 1 მ. და 50 კ. უკანასკნელზე 1 მ.
იყოს ავტორის ვინაობა და მისა- ქალაქ გარედან მიღებული განცხა-
მართი, დაუბეჭდავ წერილებს რედა- დება ღირს ერთი ორად. სამგლო-
ქსა არ ინახავს. ინახება მხოლოდ ვიარო განცხადება: თითოეული არა
დიდი მოთხოვნები. უმეტეს სამი გამოცხადებისა 12 სა-
რედაქცია ღირს: დილის 9-12 საათამდე 25 მ., 12 საათის შემდეგ
საათამდე და საღამოს 5-7 საათამდე 30 მან.
მდე. კანტორა ღირს: დილის 8-12 სა-
ათამდე და საღამოს 5-7 საათამდე.
მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის ს. ფოსტის ადრესი:
ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

ერთგულთა ერთგულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

ნი ქვეყანაში რედაქციის განტორაშთან და-
და გაზეთის ფონდი. მოქალაქეთა გაიღეთ
წირულებანი. გაზეთის გამოცემის საქმე
ხველთა თანაგრძნობაზეა დამოკიდებული.

Свѣшно продаются вещи.

красивая дѣтская кровать, столовый стол, самоваръ, тюлевые занавѣски и др. вещи.
Адресъ: Гимназическая улица помещеніе Т-ва „Проводникъ“ въ низу.

გიორგი პავლეს ძე კობრეიძის საყურადღებოდ
თქვენგან დაკარგული ვექსილები ნაპოვნია და შეგიძლიათ მიაკითხოთ
მისამართისათვის გაზეთ „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციაში.

დავპარბე

ქუთაისის საღვთო მატარებელ № 3-ზე საფულე რო-
მელშია იყო 6400 მანეთი და სხვადასხვა საბუთები:
უვადო პასპორტი № 56 მოცემული ძველად მაზრის
ფეოდალისაგან. მნახველს ვსთხოვ საბუთები დამიბრუნოს და ფული თვითონ ჰქონ-
დეს. მისამართი: ორბილის ქუჩა გიორგი ბაჩაძის საფარში — გვიფანე ზალის ძე
ქუთათელაძეს

მედიცინის საზღვარ გა- რეთელი უნივერსიტეტი. ფ. ი. კაკიბაშვილი

ღებულობს ავადმყოფებს ქალთა, საშარ-
დის (ტროპერი, სიფილისი. ექიმობა 606
და 914) და შინაგანთა. პუშკინის ქუჩა.
საკუთარი სახლი. პუშკინის ფოტოგრაფიის
პირდაპირ.

რის რამოდენიმე საუკუნოს ტრადი-
ცია ასულდგმულგებს.

სოციალური აგებულება ჩვენი ქვეყნი-
სა თუმცა ვერ არის სავსებით ახა-
ლი ეპოქის გამომხატველი, მაგრამ საქართვე-
ლო დიდ ეკონომიურ პროტენციით გადა-
ეშვა უკვე კაპიტალისტურ ცხოვრების
სარბიელზე და აქედან უკან დაბრუნება
ისტორიის კატასტროფებისა და შემ-
თხეების საკითხით ვიდრე სოციალური
შემოქმედების ლოლიკისა და რევოლიუ-
ციისა.

საქართველო და აზერბაიჯანი.

ამიერ-კავკასიაში მცხოვრებ ეროვნება-
თა შორის, მხოლოდ საქართველო და
აზერბაიჯანია პოლიტიკურ ჰეგემონიისათ-
ვის მომზადებული.

მართალია რევოლიუციის პროცესში
შექმნილი და განმტკიცებული აზერბეი-
ჯანის სახელმწიფოებრივი სხეული ერო-
ვნული არსების მხრით გამოთავაფებულ
კონგლომერატს წარმოადგენს, მაგრამ
რელიგიოზური გრძნობის ინტენსივობა
ჯერ-ჯერობით ფარავს ასეთს სხვაობას.

ამ უშთავრესი ნაკლით აიხსნება ის
გარემოება, რომ დღეს სახელმწიფოებრი-
ვი ორგანიზაციით ურყევ აზერბაიჯანში,
ულიტერატურო არაბულ ფარგონებში
ერთი სახელმწიფო ენა ვერ შექმნეს და
როგორც უმაღლეს საკანონმდებლო და-
წესებულებაში, ისე აღმინისტრაციაში
რუსულ ენას ხმარობენ.

არც სოციალური სტრუქტურის მხრით
არის ეს რესპუბლიკა დროისა და საუ-
კუნის შესაფერისად მოწყობილი:

კაპიტალისტური ეკონომიკის პირველ
საფეხურს, სავაჭრო-ვაჭრულ კაპიტალისა
ვერ მოუღდამს ჯერ იქ ფეხი და აზერბა-
იჯანელი თარაქმა პირველყოფილ მეჯო-
გეობასა და ნატურალურ წარმოების
წერს შერჩენია.

სრულ სხვა საქართველო:
საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ
მთლიანობასა და ერთსახეობას სხვათაშო-

ასეთია საქართველო-აზერბაიჯანის სა-
ხელმწიფოებრივი ცხოვრების ფიგურალუ-
რი სხვაობა, მაგრამ საგარეო მდგომარე-
ობის სირთულემ ეს ორი რესპუბლიკა
საოცარის ორგანიზულობით დაუახლოვა
ერთმეორეს.

დღეის-დღეობით ჩვენი მეგობრობისა
და საერთო ინტერესების ხელშეწყობა
ფაქტი უკანასკნელ ხანებში ჩვენ შორის
დადებულ სამხედრო ხელშეკრულებას.

დენიკინის სახით რუსეთის აღდგენის
შიშმა ერთმეორეს გადაბ საქართვე-
ლო-აზერბაიჯანის თავდაცვითი ინსტიტუტი.
გულუბრიველობა იქნებოდა იმის თქმა
თითქოს ჩვენს შორის სადაო არაფერი
იყოს.

ახალციხე ახალ-ქალაქში საქართვე-
ლოს მთავრობა თავის უკმაყოფილო თა-
ნა მემამულეებს, რომ სამხედრო წესით
ამშვიდებდა, — აზერბეიჯანის მთავრობა მა-
შინ მორცხვად აგვემრიხა, ჯარის გა-
ყვანა კი მოგვთხოვა სამუსულმანო სა-
ქართველოს ზოგიერთ პროვინციებიდან.

ზაქათალის ოლქზედაც გავვიზილა თა-
ვისი ტერიტორიალური პრეტენზიები.

უფრო ადრე კი, — მაშინ როდესაც ამი-
ერ-კავკასიის სეიმი პროტექტორატის ძებ-
ნაში და ორიენტაციის არჩევანში იყო, —
აზერბაიჯანმა ოსმალეთი ირჩია, ჩვენ კი
დევ გერმანეთი.

რამდენიმე დაწვრილებული მეუღლე ლეონიდა სეფეს ასული ლომიძისა
გილით ქეთათი, დედა მინდორა ბესარიონის ასული ლომიძისა, ბი-
ები მიხაკო და სპირიდონი სვანაძეები თავის შვილებით; სიმამრი და
იდედარი სეფე და მენიკო ნაცვლიშვილები; ცოლი დები: ოლინკა, მი-
ნდორა და სონია ცოლი ძმები და ძმები და რძლები: გერასიმე, იო-
ნე, კოწია, ვერინკა და, გოგოცა, მამიდაშვილი იოსებ ლევანის ძე
ქიტიშვილები, ნათლიმამა იროდი სვანაძე მამის (ილიას) ნათლული
ოლიკარტე სვანაძე — აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ რომ
შაბათს 21 ივნისს (ახ. სტ.) დილის 11 საათზე სოფ. საყულიაში მთა-
რ ანგელოზის ეკლესიის გალავანში გადახდილ იქნება ორმოცი დღის
წირვა და პანაშვიდი

ლია ივანეს ძე ფილიპე ილიას ძე და
თამარა ფილიპეს ასულის ლომიძეების
სულის მოსახსენებლად.

სულდათუთქულნი და დამწუხრებულნი მეუღლე ივანე კონსტანტინეს
ძე მდივანი, ქალიშვილი მარუსია, დედა მარიამ მიხეილის ასული და
ლუკუ სპირიდონის ასული ჯინჯიხაძენი, და ქსენია სპირიდონის ასუ-
ლი ჯაფარიძისა მეუღლითურთ, ქვისლები მაქსიმე ლუარსაბის ძე გრი-
გოლაშვილი შვილით, პოლიკარპე ვასილის ძე ნიშნაიძე შვილითურთ
ძმები: იოსებ, მიხეილ და სვიმონ კონსტანტ. მდივანი, ოჯახით, აუწყ-
ებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ კვირას 22 ივნისს (ახ.
სტილ.) დილის 10 ს., საფიჩხაძის სასაფლაოზედ ეკლესიაში დანიშნუ-
ლია 40 დღის წირვა და პანაშვიდი დაუფიწყარის

ნადეჟდა სპირიდონის ასულის მდივნის
სულის მოსახსენებლად.

კვირას 22 ივნისს ქუთაისში მთავარანგელოზის ეკლესიაში გადახდილი
იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი სომხებთან ომში გმირულად
დაკარგულის პოდპოლკოვნიკ

ანდრია ნესტორის ძე ღაღიანის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაც-
ნობთ განსვენებულის ქვრივი ვერა ალექსანდრეს ასული დადიანისა,
ძმა ვლადიმერ ნესტორის ძე დადიანი ოჯახობით, დები იელიტე ნეს-
ტორის ასული ჩიჩუასი, პელაგია ნესტორის ასული დადიანისა და სი-
ძეები გიორგი კონსტანტინეს ძე ჩიჩუა და დავით (ფუხუ) კირილეს ძე
დადიანი. პანაშვიდის დასაწყისი 11 საათზე.

ერთი სიტყვით ჩვენ შორის უთუოდ არსებობს ინტერესთა წინააღმდეგობა, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ჩვენი მთავრობის საგარეო მოქმედება უფრო ამ წინააღმდეგობის გასწვრივ უნდა მიმდინარეობდეს, ვიდრე მისი შეწყვეტაში.

დემოკრატიულ ფრაზოლოგიით გაბრუნებულს ჩვენს მართველ პარტიას ვერ მოეწონებია ის გარემოება, რომ მის გვერდით არსებობდა სრულიად სხვა მსოფლმხედველობისა და სხვა კონსტიტუციური. მეთოდის მატარებელი სახელმწიფო.

რატომღაც დღემდე არ უნდოდათ გავით დღემდე საქართველოს სახელმწიფო კაცებს, რომ ამ ვიწრო პარტიულ საზოგადოებაში — ქედმაღალსა და ზვიად მთასაც. დღეს, — საქართველო აზერბაიჯანის სამხედრო ხელშეკრულების შემდეგ, ჩვენი მთავრობის საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგი ნაკლი და დანაშაული უთოდ შენანიებულია და უნდა ვიფიქროთ, რომ ეს შენანიება და შეცდომების გასწორება თავის ლოლიკურ დასკვნამდე მივა.

საქართველოს საერთაშორისო უგაღუკების მიჯნაზე.

წერილი მეორე.

პირველ წერილში ჩვენ ვამბობდით: რატომ ამხედრდნენ ინგლისი და მისი მოკავშირეები სოციალისტების წინააღმდეგ? შეფუთვები თუ არა ქართველ ერს სოციალისტების და სოციალიზმის დაცვა? რა გზით შეგვიძლია ჩვენ ხიფათს თავი დავახწიოთ?

პირველი კითხვის პასუხი გამომდინარეობს სოციალისტების მოძღვრებიდან.

ამ მოძღვრებას საგანგებო წერილში, რასაკვირველია, ვრცლად ვერ შევხებით, მაგრამ უმთავრეს დამახასიათებელ ნიშნებს მაინც მოვიყვანოთ. სოციალიზმი (მარქსის მოძღვრებას ვგულისხმობთ) მთელი თანამედროვე ცხოვრების ძირიან ფესვიანად დანგრევა და ნაცვლად ამისა ახალი ცხოვრების შექმნაა, რომელიც, სოციალისტების აზრით, ჩვენ ცოდვილ მიწაზე სამოთხეს დამყარებს. საუკუნოების განმავლობაში შექმნილი ქონებრივი ურთიერთობა, ურთიერთობა კაცთა შორის, აგებული ჯერძო პირთა თაოსნობაზე მათ მიერ კერძო შრომის ნაყოფის კერძოდ მითვისებაზე, ორთქლის დიდი მანქანების და კაპიტალის განვითარების გამო უნდა დაინგრეს.

ნაცვლად ამისა უნდა დაარსდეს ისეთი წესწყობილება, რომლის დროსაც ყოველივე წარმოება, ყოველივე საგნის დამზადება მანქანების (მაშინების) საშუალებით საერთო ძალით ხდება და დამზადებული საქონელი ყველას ეკუთვნის და მით ყველა ერთნაირად სარგებლობს სოციალისტების სიტყვით, ესეთი წესი ქვეყანაზე აუცილებლად დამყარდება და საუკეთესოც იქნება, რადგან მაშინ არც მდიდარი იქნება არც ღარიბი, არც არავინ მიითვისებს სხვის ნაშრომს და შრომაც ძალიან ცოტა დაჰირდება კაცს, სულ დიდი რამოდენიმე საათი დღეში; დანარჩენ დროს კი ხალხი სეირნობაში გაატარებს, ცხოვრებით და სხვადასხვა ხელოვნური ნაწარმოებით დასტკბება, ასე რომ სამოთხე იქნება. სახელდობრ კი დაწვრილებით, როგორ მოეწყობა მაშინ ცხოვრება, ეგ არავინ იცის.

უმეტესი ნაწილი თავის ნაწარმოებით მარქსმა ინგლისში დასწერა. მისი მოძღვრება რომ ქვეყნარტება ყოფილიყო, გონიერ და განათლებულ ინგლისელებს მარქსისტობას ჩვენ როგორ მოვასწრებდით? ეგ მოძღვრება შემცდარი არის, რადგან ის პროცესი ქონებრივი ცხოვრების განვითარებისა, რომელზედაც მარქსმა დაამყარა თავის მოძღვრება — ერთ მხარეზე უამრავი ქონების დაგროვება და მეორეზე საშინელი სიღატაკე — არ მოხდა. მარქსი შემცდარი რომ იყოს და სხვა არაფერი, ამ მოძღვრებას ჯანი ვაგონდეს, რა უყოთ: რამდენი შემცდარი აზრი და მოძღვრებაა დღეა მიწის ზურგზე... მხოლოდ საქმე იმაშია, რომ მარქსის მოძღვრება ძლიერ მავნებელი, და თუ გნებავთ, დამლუხველიცაა ქვეყნისათვის, თუ რასაკვირველია ქვეყანამ ან საგარეოშია ნაწილშია ქვეყნისა მგ შეთვისა და შეისისხლობრცა.

უპირველესად ყოვლისა მითომ, რომ მარქსის მოძღვრება წინააღმდეგია რელიგიის, სარწმუნოების, რომელსაც უუდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანთა ცხოვრებაში.

რელიგიას ყოველი ერი ცხოვრებაში უპირველესი ადგილი უჭირავს. რელიგიური და ზნეობრივი იმპერატივები თუ ერს არა აქვს, ერის ცხოვრება ჯოჯოხეთად გადაიქცევა და დაინგრევა. შეიძლება ერში იყვნენ ურელიგიო ურწმუნო პირები, მხოლოდ ერს, როგორც მთლიანს, მაინც რელიგია უნდა ექნეს, უნდა ექნეს შინაგან შემკავებელი როლი ადამიანს, თორემ იგი ყოველ ველურზე უარესი, ყოველ მხეცზე უარესი იქნება. მილიციონერზე რომ მილიციონერი დაეყენო, კომისარზე კომისარი და მინისტრებიც გვერდში ამოუყენო, საქმეს არა გშველდება რა: მტაცებლობა და საზიზღრობა სულ დღითი დღე იმატებს, როგორც ეს ჩვენ უბედურ ქვეყანაში ხდება დღეს, ბოლოს ქვეყანა დაიდუბება, დაინგრევა, როგორც დაინგრა ამერიკაში. როგორც ოუნის ურელიგიო სახელმწიფო თვით სოციალიზმი, იგი რომ ქვეყანაზე განხორციელდეს, ადამიანთა თავისუფლების დამარხვა იქნება, კაცის ხელფეხზე ბორკილების დადება მოასწავებს. ცალკე პირი თვითონ თავის ნებაზე, თავის მოსაზრებით, ვერას გააკეთებს; მან ჯარში უნდა იმუშაოს სხვისი ნებით და იწყოს მუშაობა, სხვისი ნებით აუშვას ხელი, ისადილოს და იფანშოს ჯარში და ის საქმელი ქამოს რასაც მეთაურები და ამხანაგები ამისათვის დაწესებულ პირებს. მოკლედ რომ ვთქვათ ადამიანი სოციალიზმში მანქანაა, (მაშინა) და მანქანად უფნას კაცი ვერ აიტანს, ყველთამდე ოქროთი რომ აავსო და ჩიტის რძის მეტი ყველაფერი მისცე მხოლოდ რაც შეეხება მიცემას, სოციალიზმში ჩიტის რძეს კი არა ვერც ძროხის რძეს მისცემ ყველას; დამერწმუნეთ რომ ძროხის რძეზე უფრო საჭირო საგნებსაც ვერ მიაწოდებთ, რადგან შემოსავალი სახელმწიფოსა ძლიერ დამცირდება, იმიტომ რომ ხალხი მუყაითობას და ერთგულებას ვერ გამოიჩენს საერთო საქმის კეთებაში და მათრახებით კომისარები ვერას გახდებიან მასადამე, დიდი, აუწერელი უბედურობა მოეღოს ქვეყანას სოციალიზმის სახით. მხოლოდ ესეთი უბედურობა (უბედურებად მიჩნეული ორიოდ კაცი-საგან ჩვენში) რომ მოახლოვდეს სოც. დემოკრატიული მთავრობა და მისი პარლამენტი (დამფუძნებელი კრება) ჩამორთმევს და წართმევს ქალაქებს წერს და მას კანონებს უძახის. ამის გამო კი ჩვენში ისეთი მტაცებლობა და ყაჩაღობა გაჩაღდა, რომ ლამის ყველამ დაჰკარგოს რაიმეს შეძენისა და ქონების ხალისი.

ესლა თქვენ გნებავთ რომ ინგლისმა ამისთანა ქვეყანასთან დაიკავოს საქმე, მშვიდად იქნეს და იმედი იქონიოს, რომ აქ ვაჭრობას გააჩაღებს? ვინ დაუდგება მას თავდებად, რომ ეს სენი სხვა ქვეყნებსაც არ გადაედება? აი რად ამხედრდა საქართველოს წინააღმდეგ ინგლისი. ვის უდევს ამაში ბრალი, — ამაზე შემდეგ.

კ. ლომთაძე.

უგანასკნელი ცნობები.

ყუბანის ახალი მთავრობა.

გაზ. „ავკასსკოე სლოვოს“ ცნობით ყუბანში ახალი მთავრობა შესდგა. მთავრობის თავმჯდომარედ არის პ. ი. კურგანსკი. ახალი მთავრობის პროგრამა უცვლელი რჩება — მთლიანი დემოკრატიული ფედერატიული რუსეთი. კურგანსკი ამბობს: რუსეთის მართა-გამგეობის საბოლოო ფორმა უნდა დააწესოს სრულიად რუსეთის დამფუძნებელმა კრებამ. უმთავრესი და უახლოესი მიზანი ჩვენი მთავრობისა არის დაუყოვნებლივ კავშირის შეკრა იმ ახლად დაარსებულ სახელმწიფოებთან, რომელნიც ებრძვიან ბოლშევიზმს და სცნობენ რუსეთის დამფუძ. კრებას დამოუკიდებლობის პოლიტიკას ჩვენ რასაკვირველია არ ვეზბრობით.

მოხალისეთა არმიის შესახებ მთავრობის თავმჯდომარემ განაცხადა: „ყოველმხრივი დახმარება მოხალისეთა არმიას, რომელიც იბრძვის რუსეთის მთლიანობისთვის დამფ. კრების ლოზუნგით“ — ო.

ჩვენი მთავრობა და დენიკინი.

როგორც დანამდვილებით გავიგეთ, საქართველოს მთავრობას განზრახვა აქვს დენიკინთან საზღვრების შესახებ შემდეგი უპასუხოს გენ. კერის: საქართველოს ჯარი ბზიზე გადმოვა მხოლოდ იმ ერთადერთ შემთხვევაში, თუ შეიქნება ნეიტრალური ზონა ბზიბის ჩრდილოეთით, სადაც ფნდა ჩადგეს ინგლისელების ან იტალიელთა ჯარი.

ინგლისელების წასვლა.

როგორც დანამდვილებით გავიგეთ, ინგლისელებს განუცხადებიათ, რომ ისინი უმეტესად მიდიან ამიერკავკასიიდან ივლისის 15-ს.

სომხეთის მთავრობის პროტესტი.

სომხეთის მთავრობის თავმჯდომარემ ყარაბაღში მომხდარ ხოცვა ქლეტის გამო პროტესტის ნოტა გაუგზავნა ინგლისელთა მისიას და ინგლისელ მთავარსარდალს გენ. კერის. ხატისოვი თფილისის გაემგზავრება ამ საქმის გამო ინგლისის სარდლობასთან მოსალაპარაკებლად.

დენიკინელების განმარტება.

ბაქოს გაზეთ. „ედინაია როსიაში“ დაბეჭდილია შემდეგი: „მოხალისეთა ჯარის წარმომადგენელი განმარტავს, რომ ამიერი კავკასიის ახლად შექმნილ სახელმწიფოთა და მოხალისეთა ჯარის შორის დაწყებული საზღვარი არ წარმოდგენს სახელმწიფოებრივ საზღვარს, არამედ იგი დროებითი გამოიჯნაა.

ბაქოს მუშათა კონფერ. პრეზიდიუმის დეპეში.

ბაქოს მუშათა კონფერენციის პრეზიდიუმმა შემდეგი დეპეშა გამოუგზავნა თფ. მუშათა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს: „მუშათა კონფერენციამ აღიარა საქართველოს მთავრობისთვის დახმარების აღმოჩენა — 80 დელეგატი. საარჩევნო მეტრი — ათასზე ერთი წარმომადგენელი. არავითარი დაბრკოლება არ არის მალე იყოს მოწვეული ყრილობა გთხოვთ დააჩქაროთ მისი მოწვევა არა უგვიანეს ივნისის 22-სა.

ანდრონიკის დაპატიმრება.

გაზ. „ადერბაიჯანის“ ცნობით, სტამბოლში ოსმალთა მთავრობას დაუპატიმრებია იქ მყოფი ანდრონიკს, რომელიც პარიზში აპირებდა წასვლას. იგი როგორც ოსმალთა ქვეშევრდომი სისხლის სამართალში იქნება მიცემული სახელმწიფოებრივ დანაშაულისათვის.

დენიკინელების მიერ მოწყობილი ჩეჩნების ყრილობა.

ივნისის ორს ქ. გოზნაში გაიმართა დენიკინელების მიერ ხელოვნურათ მოწყობილი ვითომდა ჩეჩნების ყრილობა. ყრილობა მოიწვია საჩჩნოს მმართველმა

დენიკინელმა გენერალმა ალექსეი წრო 48 დელეგატი ყრილობას რენ აგრეთვე მრავალი გენერალი, რომელიც დენიკინის მმართველობის დროს მმართველობაში იყო. ჯდომარედ აირჩიეს იბრაგიმ ჩილი. საჩჩნოს მმართველმა გენ. ალექსეიმ მოსთქვა სიტყვა, მან სხვათა შემდეგი სიტყვა: „ჩემი ზრახვანი მიაღწია იმისკენ, რომ ჩვენი ხალხი თარგმის სწორე გზაზე დადგეს, რა ნაწილი მთლიან დიდი რუსეთისა“.

ყარაბაღის ამბების გარშემო.

ერევანში, ივნისის 16-ს გაიმართა მიტინგი ყარაბაღის ამბების მიტინგმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც ყარაბაღში მომხდარ ამბებს საგარძელებად ადერბაიჯანის მთავრობის ენვერ-ფაშისა და თალათ-ბეის პოლიტიკას. მიტინგი პროტესტს თქვამს ხოცვა-ჟლეტის გამო და მოთხოვნილია ყარაბაღის საზღვრებიდან გაყვანილი სულთანოვის რაზმები. რეზოლუცია კატეგორიულათ მოთხოვნილია, რომ კავშირეთა წარმომადგენლებმა მოულონ აწიოკებისა და ხოცვა-ჟლეტის პროტესტს.

დეპეშები.

საქ. დეპ. სააგენტო.

18 ივნისი.

ინგლისური პრესის ცნობები.

პარკში გაფიცვები გათავდა. პარკში კლემანსომ ინახულა ჯერ გაფიცვა და შემდეგ ქალ. პარიზის და მუწარმომადგენელნი. ზოგი პირობა ებად იქნა აღიარებული და ზოგი უყურადღებოდ დასტოვა. კლემანსომ ფიცულთა მამულიშვილურ გრძნობასთან და შეგანებინა მათ სრულთობის საჭიროება.

იტალიური პრესის ცნობები.

სტოკპოლში.

„ავტონტალტეტ“ იყება რომ ინგლისის საზღვაო დეპუტატებს უშენს ქ. კრონშტადს, ანაც პასუხი არ გაუციათ. კრონშტადს ახლო ბალშევიკებმა ნაღმები ჩაათა დესანტი გადმოსხმას ხელი შელონ. ფიქრობენ, რომ ბალშევიკები ლაქს დასცლიან.

რომი. ივნისის 19 თვის სენატი წვიეს. მეფემ ორლანდო მიიღო.

ფანგული პრესის ცნობები.

ოთხთა საბჭომ დამთავრა თავისი შაობა. ხელშეკრულებას გერმან ორშაბათს გადასცემენ. ახალ ტეზარაფერია შეცვლილი ზარალის ანაზრების და მისი დაოდნობის შესახებ ინის მარცხენა ნაპირის ოკუპაცია ძრჩება, ხოლო ოლქის ადმინისტრაციის თვითმართველობების ხელში იხელშეკრულება იმედს იხლევა, რომ რმანია ახლო მომავალში იქნება ბული ხალხთა ლიგაში, სადაც თანაბარ უფლებებით ისარგებლებენ ნსაკუთრებით ეკონომიურ საკითხ ხელშეკრულების თანახმად საზავო მპარაკების დასრულების შემდეგ დასაყოველთაო განიარაღებისა, მაგრამ შესახებ დანამდვილებითი ცნობები არ არის.

მარშალ ფორშის ჟოტინატუმის გუშინ განახლეს გერმანიის ტერიტაზე პოლონეთის ჯარის გადაზიდნა. კლემანსოს ჩარევას გამო პატრანსპორტის მუშათა გაფიცვა დამთავრებულია.

გერმანული პრესის ცნობები.

როზა ლიუქსენბურგის დასაფლვადეს, არაერთი უწყობა არ მომზდაქრძალვას დაეწერა აუარებელი

დენიკინელების მიერ მოწყობილი ჩეჩნების ყრილობა.

20 მუხ. ლიგის წევრნი აღიარებენ რომ ეს ხელშეკრულობა უარყოფს ყველ გვარს პირობას, ან შეთანხმება რომელიც მას ეწინააღმდეგება და ვადებულიად ხდიან თავს მომავალში ასეთ პირობანი არ შეტყობან.

